შპს. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმეს და ანას.სახ სამედიცინო ცენტრი
Georgian Patriarchate St. Joachim and St. Anne Medical Center. Ltd

№ 01/01-73
23. 03. 2020

საქმოქმედო გეგმა

დღეის მგომარეობით სულ კლინიკაში მოთავსებულია 16 პაციენტი. აუცილებლობის შემთხვევაში 48 საათში შესაძლებელია ყველა მათგანის გაწერა ბინაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს ,,საქართველოს საპატრიარქოს წმ.იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი" წარმოადგენს ორი უძველესი, ცნობილი კლინიკის, შპს ,,ნიკოლოზ ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალის" და შპს ,,საქართველოს საპატრიაროქს წმ. იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის" გაერთიანებას, მოგეხსენებათ რომ მათ აქვთ მრავალი წლის გამოცდილება, მათ შორის საგანგებო ვითარებაში მუშაობის. პროფესიონალი კადრები იძლევა საშუალებას ადეკვატურად გაუმკლავდეთ მოსალოდნელ სირთულეებს.

გამომდინარე იქიდან რომ არ ვართ ინფექციური პროფილის (შესაბამისი მოწყობილობით და პერსონალით) დაწესებულება, გამოვთქვამთ მზადყოფნას მივიღოთ დანარჩენი კლინიკებიდან გადმოსაყვანი არაინფექციური პაციენტები ქირურგიული, ნევროლოგიური, თერაპიული, კარდიოლოგიური, ინტერვენციული კარდიოგრაფიის, გინეკოლოგიური პაციენტები.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მოქმედი კონკორდატის და წმინდა სინოდის 20/03/2020წ განჩინების მე7-ე მუხლით ჩვენ, როგორც საპატრიარქოს კუთვნილი სამედიცინო დაწესებულება, გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში და სამინისტროს მითითებების შესაბამისად ყველა საჭირო და აუცილებელი ღონისძიებების გასატარებლად. კლინიკაში არის საშუალება განთავსდეს 20 რეანიმაციული საწოლი, ამ ეტაპზე გვაქვს 4 სუნთქვის აპარატი მუშა მდგომარეობაში და თუ სამინისტროდან იქნება დახმარება სამედიცინო აპარატურით და დაგვემატება 16 სუნთქვი აპარატი და უსაფრთხოებისთვის საჭირო შესაბამისი ინდივიდუალური თავდაცვითი საშუალებებით შესაძლებელია რეანიმაციის ამოქმედება 20 საწოლზე.

გენერალური დირექტორი

ვეფხვია ოდიშარია

საქართველო. 0114 თბილისი. გორგასლის ქ.#95
ტელ.:275-25-60; 275-20-14.
ელ-ფოსტა: info@gpmc.ge
ვებ-გვერდი: www.gpmc.ge

Gorgasali st. #95 Tbilisi 0114. Georgia.
Tel.:275-25-60; 275-20-14.
E-mail: info@gpmc.ge
Web-page: www.gpmc.ge